# ნიანგი

ISSN 0132-6015

4-85

ეროვნული ბიბლიოთეკა




ჰა, მეთორმეტედ, თანაც ზედიზედ,
გარდამავალი მივიღეთ დროშა,
გამარჯვებათა დიდი მზე გვიმზერს
და სიხარულის სხივებით გვმოსავს!
დროშები ქართულ ზეცას სწვდებიან,
ზეცა დროშების ალით გიზგიზებს!..
და ეს დროშები იალქნებია
ჯერ არნახული ჩვენი წინსვლისა!
გარდამავალი დროშა ყოველ წელს,
დე, იყოს ჩვენთვის გარდაუვალი!..
რაც გვაქვს ნაკლი და რაც გვაქვს ხარვეზი,—
ვუთხრათ მშრომელებს, არ დავუმალოთ!
დღეს ზოგიერთი ვაი-ქართველი,
სხვებს რომ არიგებს ჭკუას ხალისით,
თვით გახლავთ მინიმონათმფლობელიც,
მინიფეოდალ-კაპიტალისტიც!..
სუყველაფერი ეიოლება,
გადააბიჯა საზღვარს ღირობის!..
ბატონკაცური უყვარს ცხოვრება,
მექრთამეობა, პროტექტორობა!..
ზოგს დაულია ოხერი ხახა,
ცხოვრობს სხვის ხარჯზე, მუქთახორობით!..
სხვა გზა არ არის — კეთილმა ახლაც
ბოლომდე უნდა სძლიოს ბოროტი!
ზოგი ერთს ფიქრობს, ამბობს მეორეს,
ხოლო აკეთებს ამ დროს მესამეს!..
ის ზოგი რომ ზის ზოგან ზემორე, —
გულშემზარავი, აი, ეს არის!
ასეთებს ხალხის, სამშობლოს ბედი
არც ადარდებს და არც ადარდებდა!..
გამოსავალი გვაქვს მხოლოდ ერთი —
მათი მხილება და არდანდობა!
ვერ მოვიშალეთ: ვშლით და ვშლით ხშირად
სუფრებს — ხორაგით სავსეს, ჩაზნექილს!..
ლხინს ჭირად ვიხდით, ჭირს — ორმაგ
ჭირად!..
მრავალ ხალხს ვიწვევთ!.. რა გვჭირს?! რა
ზნე გვჭირს?!
საკუთარ ნაჭუჭს უნდა გავცილდეთ,
ჩაკეტილობა დავგმოთ კუთხური
და მოვიცილოთ უნდა ბაცილა, —
ბაცილა კერძომესაკუთრული!
შრომით ვიცხოვროთ, შრომა ვადიდოთ,
შრომა ვიგულოთ მხსნელად და მცველად!..
ვებრძოლოთ ყველა ჯურის ანტიპოდს
და ნეგატიურ მოვლენას ყველას!
სიტყვა და საქმე ყოველთვის ნაღდი
გვქონდეს და ყველგან ვიდგეთ მთასავით!..
„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“,
ერის ღმერთკაცი როგორც გვასწავლის!
მშრომელი კაცის დასაფიცარი
ყოველთვის იყო პატიოსნება!
პატიოსნებით ყველა მიზანი,
ყველა ოცნება გასხივოსნდება!
შორს ჩვენგან მწიკვლი და აპათია,
მოდუნება და მოთენთილობა!..
პირნათლად შევხვდეთ ჩვენი პარტიის
ოცდამეშვიდე მორიგ ყრილობას!



ეროვნული ბიბლიოთეკა




# ჟურნალი „ნიანგი“ დიდ სამამულო ომში



გულმოდგინე მსახური

„იტალიაში გერმანელ გენერლებს თავი ისე უჭირავთ, როგორც ოკუპანტებს“.

გაზეთებიდან

მუსოლინი (გერმანელ გენერალს): — ინებეთ, ხინიორ გენერალო, გახუფთავებულია!

ნახ. დონისა

„ნიანგი“ №7, 1942 წ.

ყველაზე ღმერთგამწყრალმა ჰიტლერმა და მისმა დამქაშებმა მესამე იმპერიასა და ევროპაში ახალი წესრიგის საქებსადიდებლად ყველა ეპითეტი გაიხმარ-მოიშველიეს. მაგრამ აღარც ეს იკმარეს და, როგორც გაზეთები იტყობინებოდნენ, შეეცადნენ ფიურერი ახალ ქრისტედ გამოეცხადებინათ, რასაც პოეტმა გიორგი კაჭახიძემ უძღვნა ლექსი „სისხლიანი ღმერთი“ (1941, № 27, გვ. 4.).

გაგონილა, მზის კაშკაშად
მიიჩნიონ ღამე ბნელი,
ან წმინდანად აღიარონ
ყაჩაღი და კაცის მკვლელი?!

„ხალხთა შორის რჩეულებმა“
თავი რატომ გაიბრიყვონ?!
უცხო არის მათთვის ქრისტე, —
არიელი ის არ იყო!..

იქ დღეს საყდრებს ხალხთა მკვლელი
ახალ „ღმერთად“ შეემატა:
ფიურერის სურათები
ჩამოკიდეს ყველგან ხატად!..

რასობრივი თეორიის სიგიჟის კიდევ ერთი რეციდივი იყო ჰიმლერის ე. წ. „დასაგრილებელი პუნქტები“ ფაშისტური ყაზარმის ქერათმიანი გრეთჰენებისათვის. 1941 წლის № 23-ში ვკითხულობთ წერილს სათაურით: „ოჯახების ზრდა-მატების ბერლინის სახელმწიფო განყოფილება. ნოლენდორფპლაცი, № 38“.

ე. წ. „საპატრონო“, უფრო სწორად კი, „უპატრონო“ ქალიშვილების რიცხვი გერმანიაში 13 მილიონს აღწევს! ფიურერი მათ მაჭანკლობას კისრულობს! იგი ერთ კაცს 20 საპატარძლოს ურიგებს! „რასის მწარმოებელ“ მამაკაც-ბუღებს ნოლენდორფპლაციდან და ბრაუნშვაიგიდან უგზავნიან ასეთ სტანდარტულ, ეგრეთ წოდებულ უწყებას: პატივცემულო ამანო ან იმანო!... ომის გამო გერმანელ მამაკაცთა დიდი რაოდენობა ფრონტზეა და ამიტომ სამოქალაქო მამაკაცთა წინაშე ახალი მოვალეობა დგება!.. თქვენ გთვლით ნაყოფიერების აზრით განსაკუთრებით უნარიან მამაკაცად და მოგმართავთ თხოვნით, შეუდგეთ გერმანიის წინაშე ამ დიდმნიშვნელოვანი საპატიო მოვალეობის შესრულებას!..

...გადაეშვით გრძნობით
სიყვარულის ზღვაში! —
იყოლიეთ ყველამ
არიელი ბავშვი!

ეწერა დ. ზვიადაურის ლექსში — „ჰიმლერის რეცეპტი“ (1943, № 19-20 გვ. 7.).

1941 წლის № 32-ში გამოქვეყნებულია ს. ნადარეიშვილის გრაფიკული სატირის ნიმუში — „რადიოპატარძალი“, რომელიც გვაუწყებს, რომ „ფაშისტურ გერმანიაში შემოიღეს რადიოქორწინება გაუთხოვარი ქალებისა და ფრონტზე მყოფი ჯარისკაცებისათვის“.

აქვეა ორი ქალის დიალოგი ბერლინის ქუჩაში:

— როგორ დაბერებულხარ, ბერტა! მიკვირს, ამდენ ხანს რატომ არ გათხოვდი?!

— მე კი ის მიკვირს, შენ როგორღა მოახერხე გათხოვება?

— როგორ და — რადიოთი!

— შენ ნამდვილი ქმარი მითხარი, მოგეხვიოს, მოგიალერსოს, თორემ რადიოთი არც მე დამიწუნებდნენ!..



ფაშისტური იხვები,

ანუ გერმანელთა საინფორმაციო ცნობები სამხედრო წარმატების შესახებ, როცა მათ წითელი არმია გამანადგურებელ ლახვარს სცემს.

„ნიანგი“ №12, 1941 წ.



რუსეთის თვითმპყრობელობის თეთრი ემიგრაციის შავი დღეები

კირა კირილეს ასული: თუმცა ლენინგრადის აღების იმედი მეზარალა, მაგრამ ამ გვირგვინს არ ვიზარალებ და უფრო მცირე მოწყალების აღებაში მაინც გამოვიყენებ!

„ნიანგი“ №37-38, 1942 წ.

მკვეთრ სატირულ ფერებშია გადმოცემული მწერალ როდიონ ქორქიას პატარა სცენა „სისხლი“ („ნიანგი“, 1941, № 18, გვ. 7.), რომელიც აგვიწერს საბჭოთა ლაზარეთში მოხვედრილი დაჭრილი ჰიტლერელი ოფიცრის რასობრივ ტრაგედიას: იგი სისხლისაგან იცლება და ახლა რაღას დაეძებს, რომელი რასის სისხლს გადაუსხამენ, ოღონდ კი გადაუსხან!.. მხოლოდ სიკვდილის წინ მოდის ჭკუაზე ეს „რასობრივი გვამი“.

კარგადაა ეს თემა ჟურნალის ანკესზე წამოგებული „ნიანგის ლექსიკონში“: ევაბიბლიური წინაპარი ქალი, არაარიული მოდგმისა. თუმცა არიელიც რომ ყოფილიყო და დღევანდელ ბერლინში ეცხოვრა, ფაშისტები მაინც გააძევებდნენ, რადგან მასში ვერაფერ ხეირს ვერ ნახავდნენ... საზამთრო კამპანიისათვის ტანსაცმლის შეგროვების დროს (1943, № 19-20, გვ. 7.).

ჟურნალს ჰიტლერელთა ნამდვილი სახის დასახატავად მოჰყავს ფაშისტების ადამიანის სახედაკარგულ წინაპართა პორტრეტი, რომელიც სახელგანთქმულმა გერმანელმა პოეტმა ჰაინრიჰ ჰაინემ დაგვიტოვა: ...აქ წარსულ დროში ყრანტალებდნენ თავიანთ ყვავისებურ საგალობლებს და ჩირაღდანთა სინათლეზე ლაპარაკობდნენ და აკეთებდნენ სისულელეებს, რომლებიც შეეფერებოდნენ შუა საუკუნეთა უკიდურეს სიჩლუნგეს... ბატონობდა განსაზღვრული ტევტონიზმი, რომელიც ბევრს ჩხაოდა სიყვარულისა და სარწმუნოების შესახებ, მაგრამ მათი სიყვარული სხვა არაფერი იყო, თუ არა სიძულვილი უცხოელთა მიმართ... სარწმუნოება კი მდგომარეობდა მხოლოდ გონიერების უქონლობაში. მათ თავიანთი უგნურების გამო, არ შეეძლოთ მოეფიქრებინათ უკეთესი რამ, ვინემ წიგნების დაწვაა!..

ეს უდიდესმა გერმანელმა პოეტმა დაწერა თითქმის ასი წლის წინათ. აი, რატომ არის რომ მისი სახელის ხსენებაც კი აკრძალულია ჰიტლერულ გერმანიაში: ფაშისტები ცნობენ თავიანთ თავს „ჩლუნგ და გაუნათლებელ ტევტონებში“, რომელთაც ებრძოდა პოეტი“. (1942, № 11, გვ. 7.).

„ნიანგი“ თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს და სატირულ კომენტარს უკეთებს გერმანელი ჯარისკაცის „სამახსოვრო წიგნაკს“, რომელშიც მოცემულია ფაშისტური სახარება — „სიბრძნენი ფიურერისანი და — ჰებელსისანი“. აი, როგორ არის ახსნილი აქ ზოგიერთი სიტყვა:

საარსებო სივრცე — ქორფა ფრაზაა, რომელსაც ჰიტლერი ასე განმარტავს: „საარსებო სივრცედ მე მიმაჩნია ყოველივე ის, რაც კულტივირებული, ცივილიზებული და ეკონომიურად მოცულია ჩვენს მიერ... გერმანიის ამ საარსებო სივრცეში ჩვენ გვსურს, მარტო ჩვენ ვცხოვრობდეთ!“ ფიურერი „გერმანიის სივრცის“ საზღვრებში მოქცევის დაპირებით საქართველოსაც „აბედნიერებს“: გერმანული ბირთვის გარშემო უწინარეს ყოვლისა იქნება აღმოსავლეთ ევროპის კონფედერაცია — პოლონეთი, ბალტიის სახელმწიფოები, უნგრეთი, ბალკანეთის სახელმწიფოები, უკრაინა, ვოლგისპირეთი, საქართველო. ეჭვსგარეშეა, ეს იქნება ფედერაცია, მაგრამ მისი წევრები, რა თქმა უნდა, გერმანელთა თანასწორუფლებიანნი არ იქნებიან. კავშირი მეორეხარისხოვანი ხალხებისა, რომლებსაც არმია არა ჰყავთ, საკუთარ პოლიტიკას არ ეწევიან და საკუთარი ეკონომიკა არა აქვთ! — აი, რა იქნება ეს ფედერაცია .

სისხლი და მიწა — ფაშისტები, ნიცშეს რეცეპტის თანახმად, მამაპაპური სისხლით აზროვნებენ, ეს სისხლმოძალებული ტვინი, როგორც ვიცით, ცოტა ყოველთვის „შეიმასქნებულია“. ამით აიხსნება სიღრმე და სიუხვე ფაშისტური ბოდვისა. სიპიტო. („ნიანგი“, 1941, № 19, გვ. 7.).

მძაფრი სატირის ქარცეცხლში ატარებდა ჟურნალი ფაშიზმის უბინძურეს იდეალებს, ჰიტლერიზმს, მესამე რაიხს, მის იუნკრულ სულს, გაბუქულ სტრატეგიასა და ტაქტიკას, ყბად იღებდა მათ და პოლიტიკური სიცილის ქურაში აწრთობდა ჩვენი ადამიანების რწმენას, გამძლეობას, ნებისყოფას, მორალური უპირატესობის გრძნობას, მაღალ კლასობრივ შეგნებას!..

ამ სულისკვეთებითაა გაჟღენთილი 1941-1945 წლების სატირული პერიოდიკა თავსიტყვიდან ბოლოთქმამდე.

გარდასულ დროთა ხსოვნის აღსადგენად გადავფურცლოთ ეს ნომარი, ხელიდან ხელში გადასული ჟამდაკრული, გაცრეცილი ფურცლები, რომლებსაც დღესაც იმ დღეთა ცეცხლი უკიდიათ, დღესაც იმ დღეთა სუნთქვით სუნთქავენ და დღესაც ხელუხლებლად ინახავენ მეორე მსოფლიო ომის შავბნელ სურათს, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის ჰეროიკულ მატიანეს.

„ნიანგი“, 1941, № 11:

ქურდულ ცოცვით მოეპარა
ჩვენს დიდ წალკოტს მუხანათი
და შიგ კეთილ ნარგავ-ნაყოფს
წაატანა გრძელი თათი!..

წაატანა, მაგრამ აწ კი,
რაც ხეირი იმან ნახოს,
წავიდეს და საფაშიზმო
მოედანზე იტრაბახოს!..



ხელები მოკლე აქვს

ჰიტლერი: — დიდო სარდალო, მათხოვე შენი ქუდი, რომ თავი დავიმშვენო! მეც რუსეთზე ვლაშქრობ, მეც შენსავით ვიქცევი!

ნაპოლეონის აჩრდილი: — ვხედავ, რომ იქცევი და, მალეც დაიქცევი, ჩემს ქუდს რაღას ერჩი, რეგვენო?! ის თავის დროზე უკვე დაცხრილეს რუსის ტყვიებმა!..

„ნიანგი“ №12, 1941 წ.

კნუტის ჭკუა

„ჰიტლერი ისე ჰგავს ნაპოლეონს, როგორც კატის კნუტი — ლომს.“

ი. სტალინი

გალახული კატის კნუტი
ლომის გვერდით წამოსკუპდა
და უეცარ სიამაყით
თითქმის სული შეუგუბდა:

— „საკვირველი მსგავსებაა!
მთლად მე მგავს ეს ცხოველიო,
ამის გამო მეც ლომის წილს
მოვითხოვ და მოველიო!“

მაგრამ როცა სხვის ულუფას
წაატანა თათი წვრილი,
ისე დასცხეს, რომ მჩხავანა
ძირს დაეცა გასრესილი!..

„ფიურერსაც“ გულით ნებავს —
ბონაპარტეს ბაძვა იწყოს,
მაგრამ უჯობს, კნუტის ხვედრი
ახსოვდეს, არ დაივიწყოს!

„ნიანგი“ №29, 1941 წ.



ჰიტლერი: — თუმცა ნაპოლეონის პოზა მეზარალა, მაგრამ მაინც გულს არ გავიტეხ, ამ პოზაში ნამდვილი მაკედონელი ვარ!...

„ნიანგი“ №22, 1942 წ.

✦

კითხვა-პასუხი

კითხვა: — რატომ არ შეიკავეს თავი ფაშისტების ბელადებმა საბჭოთა კავშირზე თავდასხმისაგან?

პასუხი: — რაც არ ჰქონდათ, რას შეიკავებდნენ? (1941, № 19, გვ. 7.).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ნახ. მ. აბაშიძისა



— დახლქვეშ რას მიძვრები?! აგერ შენი ფაბრიკის შეკერილი კოსტიუმი ჩაიცვი!

**არის** შემთხვევები, როდესაც დამკვიდრებული და წარსულში გამართლებული მეურნეობრიობის ფორმები და მეთოდები დაბრკოლებად ელობება გზაზე ახალ ტექნიკას, არ უშვებს მას საამქროში.



— ამ საამქროში ცოცხალი თავით არ შემოგიშვებთ!

# მოურიგებელი მორიგება

ფელეტონი

**ბაყრამ** მშვიდობიანად ჩაიარა. ძმებს არც მუთაქა გაუჭრიათ შუაზე და არც სპილენძის თუნგი. ყველა წვრილმანი: ცხვარი, ძროხა, ლოგინი, ქვაბი თანაბრად გაიყო. არც მსხვილმანის განაწილებაზე ამტყდარა გაწევ-გამოწევა. სახლი ხრომის წყაროში ერთ ძმას ერგო და ზემო ბოლში — მეორეს. გაყრილობის განაჩენს ბეჭედი **ლენინგორის რაიონის სოფელ ლარგვისის სასოფლო საბჭოში დაარტყეს, თარიღი 1974 წლის 28 თებერვალი დააწერეს და მშვიდობიანად გაშორდნენ ერთმანეთს!..**

სულ მალე **ლევან ხიბლიშვილმა** სოფელ ზემო ბოლში ძმა მოინახულა. იქით მთას გახედა, აქეთ — ბარს, ზოგი იქაურისა თქვა, ზოგი აქაურისა და თავისი ნაფიქრი მტკიცე გადაწყვეტილებით დაამთავრა.

— ძმაო! როგორც ვატყობ, სოფელ ბოლის ჰაერი სჯობნებია ხრომის წყაროსას, დროებით შემიფარე და როცა მეც ავიშენებ სახლს, მერე გეტყვით სამადლობელს მეცა და ჩემი ჯალაბიც!

ძმა ძმას უარს როგორ ეტყოდა. შეიფარა კარმიტოვებული დედმამიშვილი, ლოგინი გაუყო, ხელი გაუმართა, მაგრამ გავიდა ორი წელი და იძულებული გახდა სახლის აშენება შეეხსენებინა.

— რას ამბობ, ძმაო?! სახლის აშენება განა ასე ადვილია?!

რაღას იზამდა გიორგი, რაკი პირადმა თხოვნამ შედეგი არ გამოიღო, ნათესავ-მეზობლების პირითაც გაუმეორა სათქმელი, მაგრამ ლევანს პირჯვარი მაინც ვერ გადააწერინა.

იმედგაწყვეტილმა გიორგიმ **ლენინგორის სასამართლოს** მიაკითხა, განცხადება შეიტანა და **მოსამართლე ჟუჟუნა ნიაურს** სთხოვა ძმებს შორის ამოსული ძირმწარისათვის ფესვები გამოეთხარა და სამართლისათვის გზა-კვალი მიეჩინა. **ჩემი სახლი ჩემი ოფლით, ჩემი დანაზოგით არის აშენებული. დაე, ჩემმა ძმამაც გაიჭირვოს! როდემდის უნდა იყოს ჩემთან, ბოლოს და ბოლოს, თავისი სახლი ხომ უნდა ჰქონდეს?** — სწერდა მომჩივანი სასამართლოს.

მოსამართლემაც (თუმცა დაგვიანებით) დანიშნა პროცესი, მაგრამ ყველას გასაკვირად არც **სახლის ფინანსური უზრუნველმყოფელის ვინაობით დაინტერესებულა და არც მოწმეთა დაკითხვით.** ძმები ნამუსზე შეაგდო და **სახელდახელო განაჩენით გიორგი ხიბლიშვილს 1200 მანეთის გადახდა დააკისრა** (რატომ 1200 მანეთი და არა მეტი ან ნაკლები, არავინ იცის). **„ხოლო მოპასუხე ლევან ხიბლიშვილმა ბინა უნდა ააშენოს 1977 წლის თებერვლის თვემდე და მოსარჩლე გ. ი. ხიბლიშვილს დაუცალოს ბინა“.**

დამთავრდა საქმე, მაგრამ **ლ. ხიბლიშვილმა** განჩინებით გადაწყვეტილი 1200 მანეთის მიღებაზე უარი განაცხადა. ასევე უარი თქვა მისმა მეუღლე **გულო ჯანგიევმაც** და დარჩნენ ერთ ჭერქვეშ მომდურებული დედმამიშვილები და პირგამეხებული რძლები!..

მას შემდეგ ხუთმა წელმა გაიარა, ამ ხნის განმავლობაში ლევანი გარდაიცვალა. გიორგი ხიბლიშვილს ორი შვილი შეეძინა და კიდევ უფრო აირია მონასტერი. ისევ ესტუმრა **ლენინგორის სასამართლოს გ. ხიბლიშვილი,** ისევ დაიწერა განცხადება: **თქვენი 1977 წლის განჩინება არ შესრულდა, ძალიან ვიწროდ ვართ, გაგვიჭირდა, გთხოვთ ახლად განიხილოთ საქმე და სამართალს თავისი პური აჭამოთ.**

ისევ შეიკრიბნენ მხარეები, ისევ დაესვა სასამართლო საქმეს ნომერი, ისევ დაისვა შეკითხვები, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ არავის უკითხავს არავისთვის, თუ რატომ არ შესრულდა სასამართლოს პირველი გადაწყვეტილება. **ჟ. ნიაურმა** მომრიგებელი მოსამართლის კვალობაზე ისევ გადასძახა **გ. ხიბლიშვილს: შენ ხელოსანი კაცი ხარ, გულო ჯანგიევი სამშენებლო მასალას იყიდის, შენ ერთ ოთახს აუშენებ და დამთავრდება ამით საქმეო!** თათარიახნად დაიწერა „შერიგების“ ორი განცხადება, მოაწერინეს ორივე მხარეს ხელი და სასამართლო პროცესიც დამთავრდა!..

მას შემდეგ კიდევ სამმა წელმა გაიარა, ისევ ჩივის **გ. ხიბლიშვილი: რატომ უნდა ავუშენო ერთი ოთახი, რის საფუძველზე, ვისი რა მმართებს, ვერ გამიგია?! გ. ჯანგიევი სამშენებლო მასალისათვის კი არა, თავისი შვილებისათვის არ იწუხებს თავს, ორივენი ლენინგორის სკოლა-ინტერნატში ჰყავს მიბარებული, მშენებლობისათვის როდის მოიცლის?! ვიწროდ ვართ, მომხედეთ, სამართალი მაპოვნინეთო!..** იწერება წერილები სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში, უმაღლეს სასამართლოში, ზემდგომ ორგანოებში, მაგრამ ლენინგორის სასამართლოს მიერ მოურიგებელი „შერიგება“ ისევ ძალაშია და მის გაუქმებაზე არავინ იწუხებს თავს!..

**განაჩენს თუ განჩინებას მაშინ აქვს ძალა, როცა შესრულების აუცილებლობა მისდევს გზა-კვალზე, თორემ რა ფასი აქვს ფარატინა ქაღალდს, თუნდაც მას სამართალ-კანონის საბუთი ერქვას სახელად?**

ვ. კახელიშვილი




## ამერიკული ავტომანქანა



დღეს ჩვენს სოფელში ყველას ჰყავს
ავტომანქანა ოჯახში,
არ ჰყავდა მარტო ამბერკის
(ჩვენთან მუშაობს ორ დახლში!)

რატომ არ ჰყავდა, ამაზე,
მგონი, არა ღირს ვიდავოთ! —
ამერიკული მანქანა
ამოიჩემა, მინდაო!

წავიდა, გადაიკარგა
ეს მართლაც შარახვეტია,
მანქანა ჩამოიყვანა, —
ჭიშკარში არ შეეტია!..

მოზიდა რკინა-ცემენტი,
ჭიშკარი გადააკეთა,
გარაჟში ძლივს შეაყენა,
კარები ველარ დაკეტა!.

რაღაც ნაწილი გაუტყდა,
ვერსად იშოვა ისეთი!..
აღარც ბენზინი მიუდგა,
არც, ჩვენ რომ ვხმარობთ, ის ზეთი!..

და ასე, იმ მანქანაში,
ჩაჯდა „გმირობის“ ჩამდენი,
ერთხელ ჩაჯდომა დაუჯდა
თვითონ არ ამბობს, რამდენი!

ლევან სულავა
ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



# მწვავე პრობლემას — მებრძოლური სიახლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ავტოსაგზაო** შემთხვევების გახშირება ყველა დიდი ქალაქის და, საერთოდ, ჩვენი დროის უმწვავესი პრობლემაა და ჩვენს სახელმწიფოში არაერთი ღონისძიება ტარდება კიდეც მათი შემცირების, მინიმუმამდე აღკვეთის, დროული პროფილაქტიკის მიზნით. მაგრამ გარდა საერთო-საკავშირო სავალდებულო ღონისძიებებისა და რეკომენდაციებისა, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრო ატარებს, რესპუბლიკებშიც ეძებენ ეფექტურ გზებსა და საშუალებებს უავარიო მოძრაობისათვის. უკვე რამდენიმე წელიწადია გამოდის ჟურნალ „ნიანგის“ დამატება **„ნიანგი“ გზაჯვარედინებზე“**, რომლის პირდაპირი ამოცანაა ავტომობილთან დაკავშირებული ყველა საჭირბოროტო საკითხის გაშუქება.

დაიწყო კი ყველაფერი იმით, რომ **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1976 წლის 19 აგვისტოს განკარგულებით სატირისა და იუმორის ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციას და რესპუბლიკის შსს სახელმწიფო ავტოინსპექციას** დაავალა მოძრაობის უსაფრთხოების ორთვიურთან დაკავშირებით გამოეცათ სატირულ-იუმორისტული პლაკატი. 5 ათასი ტირაჟით გამოსული პლაკატი უფასოდ გავრცელდა მთელს რესპუბლიკაში, გაიკრა ქალაქებისა და რაიონული ცენტრების ხალხმრავალ ადგილებში, ავტოსატრანსპორტო საწარმოებში, ავტოპროფილაქტორიუმებში, ავტოსადგურებში და სხვ., რამაც მოსახლეობის დიდი მოწონება და მხარდაჭერა დაიმსახურა. აი, ამის შემდეგ დაიბადა აზრი მისი პერიოდულად, კვარტალში ერთჯერ გამოცემის შესახებ რასაც, გაითვალისწინა რა პლაკატის მებრძოლური სულისკვეთება, შეურიგებელი და უკომპრომისო პოზიცია ეპოქის ამ ყველაზე უფრო მტკივნეული პრობლემის მიმართ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დადგენილებით ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციას, რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციასთან ერთად, დაევალა პლაკატის — „ნიანგი“ გზებსა და გზაჯვარედინებზე“ — გამოცემის უზრუნველყოფა.

რედაქცია ენერგიულად შეუდგა დავალების შესრულებას, შექმნა სარედაქციო კოლეგია, მოიწვია მხატვარ-კარიკატურისტები, სატირიკოსი და იუმორისტი მწერლები, ჟურნალისტები და ავტოინსპექციის მუშაკების მიერ რეიდების ჩატარების შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე 1977 წლის პირველ კვარტალში გამოსცა ახალი პლაკატი, რომელმაც შემდგომში მიიღო ბუკლეტის სახე და ტირაჟი გახდა 10 000 ეგზემპლარი.

მასში ხშირად იბეჭდება რესპუბლიკისა და ქალაქის ავტოინსპექციის პასუხისმგებელი მუშაკების, სატირიკოსებისა და იუმორისტების, ჟურნალისტების მასალები, ცნობილი მხატვარ-კარიკატურისტების ნახატები. აქვე შეხვდებით მამხილებელ დოკუმენტურ ფოტოილუსტრაციებს, კონკრეტულ ფელეტონებს წესრიგის დამრღვევებზე. შემოღებულია რუბრიკა „დამსახურებული ლოთები საჭესთან“, ქვეყნდება რჩევა-დარიგებანი ფეხით მოსიარულეთათვის, სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებები...

როგორც მოსახლეობის გამოხმაურებებიდან და სათანადო დაწესებულებების რეაგირებიდან ჩანს, გონივრულად მოფიქრებული, მხატვრულად გემოვნებით შესრულებული თვალსაჩინოებით ეს საშუალება ჯეროვან ზეგავლენას ახდენს მკითხველზე, თავის დანიშნულებას ამართლებს და წარმატებით დგას იმ დიდი საქმის სამსახურში, რომელსაც უსაფრთხო, უმსხვერპლო უავარიო მოძრაობა ეწოდება და რაც ასე საჭიროა დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით დიდი ქალაქების წინაშე მდგარი პრობლემების გადასაჭრელად.

ჟანი სიხარულიძე

## ა. მაქსიმოვი



ჟურნალ „კროკოდილი"
ნახატი ვ. მოჩალოვისა

**ეს საღამო** რადიოსადგურ „თავისუფლების" თანამშრომლებს დიდხანს დაამახსოვრდებათ.

თავმოყრა ადრიანად დაიწყეს. მოწვეულთა შორის ვინ აღარ იყო: ძაბუნი, შხამასოკოსავით გამომშრალი თეთრემიგრანტები, ჯერ კიდევ ოციან წლებში მძვინვარე ბოლშევიკ კომისრებზე შეთხზული ამბებით რომ შოულობდნენ პურსა და ხიზილალას, ძვალთამსხვრეველნი თვალებში ჩაწოლილი მხეცური ნაღველით — ფაშისტების იმ ავანჩავანთაგან, რომლებიც ორმოცდახუთში სამშობლოს ღალატისათვის სამართლიან შურისგებას დასავლეთში გაექცნენ, და სსრ კავშირის ცოდნით თავმომწონე „ინტელექტუალები", რომელთა ბირთვს შეადგენენ ავანტიურისტული ბუნების მუქთახორა მაწანწალები, ჯერ ტელავიველ დეიდას რომ მიაშურეს, მერე კი ძია სემთან გადაბარგდნენ მიუნხენის რადიოსადგურ „თავისუფლებაში".

ყველა მათ, ვინც იმ ღირსსახსოვარ საღამოს გარეუბან პანესში ლუდსახდელ „აინგერთან" რესტორნის გახსნაზე მოიყარა თავი, სულ ცოტა სამი გარემოება მაინც აახლოებდა: ჯერ ერთი, შეურიგებელი სიძულვილი არა მარტო ყოველივე საბჭოურისადმი (უამისოდ „თავისუფლებაში" არარაობა ხარ), არამედ ერთმანეთისადმიც; მეორე, სურვილი რაც შეიძლება მალე მისჯდომოდა მაგიდას; და, მესამე, უკვე მაგიდასთან მჯდარი, ახლოს ყოფილიყო პატივსაცემ ამერიკელ პატრო... ბოდიში, სტუმრებთან.

ყოველ მოწვეულს, ისინი კი ორასამდე იყვნენ, ხელში ეჭირა ბარათი ზედ ამობეჭდილი ბრწყინვალე და მომხიბლავი ტექსტით: „გიწვევთ რესტორნის გახსნასთან დაკავშირებით. უფასოდ მოგერთმევათ ერთი სასმელი, საუზმე და ცხელი კერძები".

ერთი სიტყვით, გთხოვთ, ძვირფასო სტუმრებო! დღეს კოსტია ნადირაშვილი, „თავისუფლების" კადრის მუშაკი, საკუთარ საქმეს იწყებს. დრო ატარე, ჭამე, სვი — ყველაფერი მუქთად. ხოლო რამდენადაც ალტრუიზმი ძირგამომთხრელ ცენტრებში იმაზე ხშირი არ არის, ვიდრე, ვთქვათ, უცხოპლანეტელთა ვიზიტი, მიწვევისაგან თავი ველარ შეიკავეს იმათაც კი, ვისაც საერთოდ ძლივს შეეძლო სიარული.

მოუთმენლობამ და მადამ თითქმის მიაღწია კრიტიკულ წერტილს, როცა თვითონ ნადირაშვილიც გამოჩნდა და ხელგაშლით სთხოვა სტუმრებს თავიანთი ადგილები დაეკავებინათ. მოდით, ჩვენც ვცადოთ შევაღწიოთ ბანკეტზე და მივუერთდეთ თუნდაც აი იმ წყვილს, მაგიდისაკენ იდაყვებით რომ იკვლევს გზას და მოვისმინოთ, თუ რა საზრუნავი აწუხებს „კეთილშობილ საზოგადოებას".

— ყური მოვკარი, მისტერ ფერგიუსონი და მისტერ ბაკლიც* უნდა მოვიდნენო ცოლებითურთ, — თქვა გაურკვეველი ასაკის ქალბატონმა, როცა მაგიდას მიუჯდა და ირგვლივ მიმოიხედა. მისი თანამგზავრი ჩიტივით ატრიალებდა თავს — მას სულ ახლახან ჰქონდა ბედნიერება გემოზე ეფანტა ტყუილები „თავისუფლების" მიკროფონებთან და ამიტომაც სწყუროდა სასწრაფოდ გარკვეულიყო, თუ ვინ რას წარმოადგენდა ამ რადიოკანტორაში.

ქალბატონმა სიგარეტი ამოიღო, თავაზიანად გამოწვდილ სანთებელაზე მოუკიდა და დარბაზი მოათვალიერა.

— ამერიკელები რატომღაც არ ჩანან. შესაძლოა, აგვიანდებათ? დიახ, ეტყობა, მათ გარეშე დაიწყებენ.

— ბატონებო, მეგობრებო, კოლეგებო, — წამოიწყო მამაკაცმა, რომელიც ნადირაშვილის მაგიდის ახლოს მოკალათებულიყო. — ნება მიბოძეთ, გავხსნა ჩვენი დღევანდელი საღამო. ჩვენ, კავკასიელ თავადებს, ძველებური ჩვეულება გვაქვს: თუ სტუმრად ხარ, შენი უპირველესი ვალია, მასპინძლის სადღეგრძელო დალიო.

— ნადირაშვილმა თამადას მადლიერად დაუხარა თავი და ჰალსტუხი შეისწორა. — ამიტომ პირველი სასმისით გთავაზობთ ჩვენი პატივცემული... — ნადირაშვილმა ამაყად ასწია ნიკაპი... — ძვირფასი მისტერ რეიგანის სადღეგრძელოს. თუმცა ამჟამად იგი აქ არ არის, დარწმუნებული ვარ, რომ თავისი ფიქრით ჩვენთანაა.

ამ სიტყვების შემდეგ თამადამ სავსე ფუჟერი გადაუშვა ხახაში და დაჯდა. დანარჩენებმაც მას მიბაძეს. ნადირაშვილი საბრალო სანახავი იყო, მაგრამ როგორღაც შეძლო თავის დაჭერა, ტანჯული ღიმილით თავი დაუკრა თამადას, მერე კი სტუმრების ხითხითში გამოცალა თავისი ჭიქა.

— ხედავ, როგორ გაჰკრა კბილი ავალოვმა, — გააგრძელა ქალბატონმა. — ეგ ისეთია, ენაზე ჭალი არ წამოედება. უბედურის ერთი ყბედია... „ჩვენ, კავკასიელ თავადებს"... აჯობებდა ალჟირზე მოეთხრო.

იგი სახეში მიაჩერდა თავის მეგზურს და, რა შეატყო, ვერაფერს მიხვდაო, აუხსნა:

— ავალოვი ალჟირში მსახურობდა, ფრანგთა არმიაში, ალბათ, უბათქუნებდა, რამდენიც მოეპრიანებოდა. „თავისუფლებაში" ვითომდა პროგრამების შემდგენლად მუშაობს თითქმის ოცი წელია. ეს მას, ჩანს, მემკვიდრეობით გამოჰყვა. მისი დედილო ომის დროს ქალაქ ვიშიში* მუშაობდა, პროპაგანდის სამინისტროში. გერმანელებს თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ. ასე რომ, მას კლასიკური სკოლა აქვს გამოვლილი. კავკასიელი თავადობა კი უბრალოდ მისი ერთგვარი ახირებაა. მეო, ამბობს, „ბორჯომელი თავადი" ვარო და მორჩა. თანაც ბორჯომი მხოლოდ სურათზე თუ უნახავს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მას ძალიან ძვირფასი თვისება აქვს — იმდენად სძულს სსრ კავშირი, რომ იბოლმება და გული უსკდება საბჭოების ხსენებაზე.

სუფრა კი ამასობაში თანდათან ეშხში შედიოდა. დარბაზში შეუჩერებლივ დაფუსფუსებდნენ ოფიციანტები და ძლივსღა ასწრებდნენ ბოთლების შეცვლას. სასმელმა ქალბატონი ააჭიკჭიკა. მან გადაწყვიტა გაეცნო თავისი მეგზურისათვის მშობლიური რადიოსაგესლეთის კულისებში გაგონილი ამბები, რაც კი იცოდა.

— კარგი ვინმეა ეს კოსტია ნადირაშვილი. კავშირიდან გამოიქცა, იქ ცოლი და ორი შვილი დატოვა, აქ კი, გფრ-ში, პატენტიანი „ღმერთო შეგცოდე" ითხოვა. და რა გგონიათ, ერთი წლის შემდეგ ქალმა მიატოვა ის, მაგრამ ადგილობრივი კანონების მიხედვით ვალდებულია სარჩო აძლიოს ცოლყოფილს. ესე იგი გადაუხადოს ალიმენტი არა ბავშვებს, არამედ ვიგინდარა ქარაფშუტა დედაკაცს. დიახ, მაგრად გაება მახეში ჩვენი კოტე! ახლა მისი ერთადერთი ფინანსური იმედი ეს რესტორანი და დამხმარე მეურნეობაა. დიახ, დიახ, ტყუილს არ გეუბნებით, ჩემო კარგო. იგი გრძნობს თავის შემოქმედებითს უნიჭობას და იმის შიშით, ამერიკელებმა პროფუვარგისობის გამო არ გამაგდონო, ყოველი შემთხვევისათვის ქათმებისა და ღორების მოშენებას მიჰყო ხელი. დახვეწილი პოლიტიკური ანალიტიკოსია.

ამ დროს მეზობელ მაგიდასთან ჩხუბი ატყდა, დედის გინება მოისმა, ვიღაცას ვილაცისათვის საყელოში ჩაევლო ხელი და აჯანჯღლარებდა. შემდეგ რომელიღაც სახეწამონთებულმა ტიპმა თეფში და ჭიქა აიღო და სასწრაფოდ გაეცალა ბრძოლის ველს, დარბაზის ბოლოს, განაპირა მაგიდასთან გადაინაცვლა, სადაც იგი შინაურივით მიიღეს.

— რა ბათქაბუთქი და ყვირილია? — შიშით იკითხა ახალბედამ.

— ოჰ, — ჩაიქირქილა ქალბატონმა. — ჩვეულებრივი ამბავია — ჩვენი ესესელი ბერიკაცები ლიოვა როიტმანს წაეკინკლავნენ და ისიც, სანამ სიფათში ჩააფარებდნენ, გაეცალა. აბა, შეხედეთ, რა კოლორიტული კამპანია დარჩა მაგიდასთან: კრასოვსკი — ვერმახტის კაპიტანი, ერშოვი — ბალტიისპირეთში ფაშისტთა სადამსჯელო ოპერაციების მონაწილე, ციგანკოვი — ობერმოღალატე ვლასოვის ახლობელი, სენკოვსკი „ზონდერკომანდა — 204-ში" მსახურობდა, ლაპონოვი, იგივე ვიშნევსკი, — ესესელია, ბრიანსკის ოლქში პირადად ხვრეტდა საბჭოთა აქტივისტებს, სტანკევიჩი არათუ ესროდა ბავშვებს, არამედ ცოცხლად ყრიდა მათ ღუმელში. როიტმანმა, ალბათ, იმის გარკვევა დააპირა, თუ რომელმა მათგანმა დახოცა ბერდიჩევში მისი ნათესავები. და ამის გამო ატყდა ხმაური. თქვენ ამას გულთან ნუ მიიტანთ, ჰონორარის მისაღებ სალაროსთან ყველანი ერთად ჩამწკრივდებიან, ვინაიდან მიკროფონთან ისინი თანამოაზრენი და სულიერი ძმები არიან.

— მგონია, ეგ ის როიტმანია, რომელსაც მიჰყავს პროგრამა „საბჭოთა კავშირი — მოვლენები, პრობლემები, დასკვნები"?

— სწორედ ის, ყოფილი ვექილი-არამზადა. კავშირში შავბნელი საქმეებისათვის ადვოკატთა კოლეგიიდან გამოაგდეს. იწყინა, მერე ვითომ ისრაელში წავიდა, ჩვენთან კი მუშაობს. ერთთავად სსრ კავშირში ებრაელთა მწარე ბედზე წუწუნებს. ვფიქრობ, ყველა თავის გამოსვლას წინასწარ უთანხმებს ცოლს, რომელსაც ამ საქმეში ჭიპი აქვს მოჭრილი. მაშ როგორ. შარონ გოლერი „ებრაელთა დაცვის ლიგის" აქტივისტია. საერთოდ კი როიტმანი „საცოდავი, უბადრუკი პიროვნებაა", როგორც პანიკოვსკის უთქვამს.

— რას მეუბნებით. გადაცემები კი როგორი აპლომბით მიჰყავს!

— აქ ბევრი რამ არის გასაკვირველი, ჩემო კარგო. რაც თქვენ ამერიკელებს დაუმალეთ, მას ადრე თუ გვიან ჩვენი თანამშრომლები დაყნოსავენ. ჩვენთან, ახალი ამბების განყოფილებაში, ასეთი კერძო დეტექტივების მთელი რაზმია. თითქმის არც ერთს არა აქვს განათლება, ამერიკელები კი გააცურეს, დიპლომები დავკარგეთ, ანდა საბჭოთა კავშირიდან წამოსვლისას ჩამოგვართვესო. ეს ხომ წმინდა წყლის მონაჩმახია!

ისინი ისე დაჰკანკალებენ თავიანთ ადგილებს, რომ მზად არიან გაყიდონ მშობელი დედა. თქვენ იცით, ერთი თანამშრომელი გვყავს, გვარად პრედტეჩევსკი. და, წარმოიდგინეთ, აი ემაგ ორმა ქალბატონმა, მონდიჩ-დრევინგმა და მიტინამ, პირდაპირ მაგიდას რომ უსხედან, იგი „შორს გამიზნულ საბჭოთა მზვერავად" გამოაცხადეს, ხოლო როცა ამერიკელებმა ამის დამტკიცება მოითხოვეს, მონდიჩმა და მიტინამ თავიანთი ინტუიცია დაიმოწმეს!

ქალბატონმა კვლავ მოსწია სიგარეტი, ნაფაზი დაარტყა და გაირინდა, იგი თავის უსიამო ფიქრებს ჩაუღრმავდა: ბოლოს და ბოლოს თვითონაც ხომ არაფრით იყო იმათზე უკეთესი, ვისაც ასე ქირდავდა. ამ ნაღვლიანი თვითანალიზისაგან მხიარულმა შეძახილმა გამოიყვანა:

— საყვარელო, დღეს თქვენც აქა ხართ? რა სასიამოვნოა. ნება მომეცით, ერთი წუთით თქვენს მაგიდასთან ჩამოვჯდე.

კეკლუცად გაუწოდა ხელი თავისი ნაცნობი ქალის ოდნავ შემცბარ თანამგზავრს და წარუდგა:

— ალია ფედოსეევა. პროგრამა „დოკუმენტები და ადამიანები". თქვენ კი, როგორც ვხედავ, ახალი ხართ. არა უშავს, მალე ჩაგაყენებთ საქმის კურსში.

(დასასრული მე-8 გვ.).

* 1982 წლის სექტემბერში ფერგიუსონი „თავისუფლება"-„თავისუფალი ევროპის" პრეზიდენტის პოსტზე შეცვალა ჯ. ბაკლიმ. პირველი, რაც მან ამ სარბიელზე გააკეთა, ის იყო, რომ კიდევ 20 მილიონი დოლარი ააფცქვნა ამერიკელ გადასახადის გადამხდელთ (რასაკვირველია, კონგრესის დახმარებით) რადიოყაჩაღობის „საჭიროებისათვის".

* ვიში — საფრანგეთის ქალაქი, სადაც 1940 წელს მოკალათდა პეტენის მარიონეტული „მთავრობა", რომელიც ლაჩრულად დანებდა ჰიტლერულ გერმანიას.

(დასასრული)

ალიამ ჩაიხითხითა, ღვინო გადაჰკრა და მეგობარ ქალს მიუბრუნდა:

— იცი, ამ დღეებში წერილი მივიღე ნიუ-იორკიდან, დორა რომადინოვა მწერს. მისთვის ყველაფერი ო'კეია, წიგნისათვის მასალებს აგროვებს, რაღაცებს ანგარიშობს თავის ელექტროგამომთვლელ მანქანაზე — ერთი სიტყვით, ოქროს ხელი აქვს და სადაც კი მიუწვდება, დოლარებს ხვეტს. ზარაქალა მას.

— ნუ მელაპარაკები მაგ ბებრუხუნაზე, — ქალბატონი უკვე საკმაოდ გამოძღა, — მე ამ „მწერალს" ჯერ კიდევ მოსკოვიდან ვიცნობდი კარგად. 68-ში შტატებს ეწვია მემკვიდრეობის მისაღებად, იქ ქმარს რქები დაადგა ვიღაცა ადგილობრივ ჟურნალისტთან, შემდეგ კი შვიდ წელიწადს ამერიკული მუსიკის მცოდნედ ასაღებდა თავს. 75-ში ისრაელს გაემგზავრა, იქიდან კი კვლავ ამერიკაში აღმოჩნდა. სხვათა შორის, ის ჩვენთანაც, „თავისუფლებაშიც", ფულს აკეთებს როგორც ნიუ-იორკელი შტატგარეშე კორესპონდენტი.

გაურკვეველი ასაკის ქალბატონი აშკარად დაიქოქა.

— იცი, ვისზე აპირებს წიგნის დაწერას? დიმიტრი შოსტაკოვიჩზე. გაუშვი, ფანტოს თავისთვის ტყუილები, ვითომ სსრ კავშირში არც ოპერაა და არც ოპერის მომღერლები, — გამოჩნდებიან სულელები, დაუჯერებენ, მაგრამ რატომ უნდა შეაწუხონ დიდ ადამიანთა აჩრდილები? ნიუ-იორკში ხომ ჰყავთ სოლომონ ვოლკოვი, ერთი ეცოტავებათ? ჯერ მან დასწამა ცილი განსვენებულ კომპოზიტორს, ახლა ეს უბადრუკი მუსიკათმცოდნე ვოლკოვის ნამუსრევს კრეფს ხელმეორე მოხმარებისათვის. მჯღაბნელი. აჯობებდა ავადმყოფი მოხუცი დედა გახსენებოდა, მოსკოვში რომ დატოვა, ვიდრე თავისი აბდაუბდები თხზას. თანაც მორწმუნეებში ჩაეწერა.

— მომიტევეთ. მე ვიცი, რომ კავშირში იგი ათეისტი იყო — არც ღმერთი სწამდა და არც ეშმაკი.

— მართალს ბრძანებთ. ახლა კი აშშ-ში იქაური რაბინები მისი ცქერით ვერ ძღებიან, სულში იძვრენენ, დიდი წარღვნის შემდეგ სხვა ასეთი თავგამოდებული მრევლთაგანი არავის ახსოვს.

— ასე უცაბედად რელიგიამ რატომ გაიტაცა?

— იმიტომ, რომ სიონისტებმა გამოკვებონ. რომადინოვას რომ მუმბა-იუმბას ტომის ბელადი აძლევდეს ფულს, პალმის ფოთლების ქვედატანს ჩაიცვამდა, კოჭებამდე მძივებს შეიბამდა და ტამტამის აკომპანემენტით კოცონთან იცეკვებდა.

ქალბატონმა ჭიქიდან შმაგად მოსვა რამდენიმე ყლუპი და სული მოითქვა. ამით ისარგებლა ფედოსეევამ და აორთქლდა. მაგრამ იქვე, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, გულჩათხრობილი ფიზიონომიის კელნერი გაჩნდა და მაგიდაზე დადო თეფში დაანგარიშებული დანახარჯით.

— მოიცა, მოიცა, ჩვენგან რამდენი გერგებათ? — ავიშვიშდა ქალბატონი, — შენ რა, სრულ ჭკუაზე ხარ? ეს რა ზღაპრული ფასებია?!

ასევე გაკვირვებით ეკითხებოდნენ ოფიციანტებს სხვა მაგიდებთანაც. სტუმრებს ვერა და ვერ გაეგოთ რატომ მოხდა, რომ მუქთა ვახშამზე მოწვეულებს იმდენს ახდევინებდნენ, რომ ამ ფულით სამ დღეს მაინც შეძლოთ რესტორანში შესვლა. ყველაფერი მაშინ გაირკვა, როცა ესესელების მძიმეწონიანი მუშტებისა და „ინტელექტუალების" ჭაჭყანისაგან შეშინებულმა ოფიციანტმა საიდუმლო გაამხილა. აღმოჩნდა, რომ სტუმართმოყვარე ნადირაშვილთან ბოთლი ღვინო ოთხჯერ უფრო ძვირი იყო, ვიდრე ნებისმიერ სხვა რესტორანში.

საშინელი ხმაური ატყდა. ყველაზე მეტად „ბორჯომელი თავადი" ავალოვი წიწმატობდა.

— სად გაქრა ის თაღლითი და არამზადა? — ბრაზობდა იგი, — სად არის ჩვენი მწყალობელი, უნდა ყელი გამოვღადრო. „გიწვევთ რესტორნის გახსნასთან დაკავშირებით". რა ეშმაკად მინდოდა მისი მოწვევა, თუ ამის გამო უკანასკნელ ჯვარს ჩამომხსნიან? მაგას წესიერ საზოგადოებაში რა უნდა, დადგეს და აივანზე ღორები და ქათმები მოამრავლოს. მდაბიო! ახლა კი გასაგებია ჩემთვის, თუ რატომ არ მოვიდნენ ამერიკელები...

მაგრამ ამაო იყო ნადირაშვილის მისამართით გამოთქმული წყევლა-კრულვა. იგი თავისი დუქნის ერთ-ერთ ოთახში იყო ჩაკეტილი, ჩუმჩუმ იცინოდა და მოგებას ითვლიდა. სტუმრებს კი სხვა რა დარჩენოდათ, თუ არა ის, რომ ბრაზმორეულნი შინ წასულიყვნენ.

მხოლოდ ერთ მოხუც თეთრ ემიგრანტს იმის გამო, რომ უგონოდ მთვრალი იყო, ვერ გაეგო, თუ რას ითხოვდნენ მისგან. იდგა და ლუღლუღით იმეორებდა ჯერ კიდევ გიმნაზიიდან სულში ჩარჩენილ გოროდნიჩის სიტყვებს გოგოლის „რევიზორიდან":

— ვერაფერს ვხედავ. სახეების მაგიერ რაღაცნაირ ღორის დინგებს ვარჩევ, მეტს ვერაფერს...

აქ კი, აბა, როგორ არ დავეთანხმოთ მას!..

P. S. მკითხველს შესაძლოა ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ავტორი დიდი გამომგონებელია და ეს „გმირები" მისი წარმოსახვის ნაყოფია. თავს ნებას მივცემ დავარწმუნო, რომ ეს ასე არ არის. ყველა ზემოთ აღწერილი პერსონაჟი რეალური სალახანაა. რეალურია აგრეთვე მათი ძირგამომთხრელი ანტისაბჭოური საქმიანობა. მაგრამ, როგორც ჩვენ დავრწმუნდით, არ არის მშვიდობა „თავისუფლებაში". ან საიდან უნდა იყოს, თუ ყველა ამ კრასოვსკის, როიტმანს, ციგანოვს, ავალოვს, ერშოვს, ნადირაშვილს, რომადინოვასა და სხვათა და სხვათა ხროვაში იკავებს მხოლოდ დოლარის „კლეისტერი", რასაც მათთვის არ იშურებს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო — მიუნხენის რადიოსაგესლეთის ნამდვილი პატრონი.

**P. P. S. ნახატი შესრულებულია ზემოაღწერილი ცალკეული პერსონაჟების პორტრეტული მსგავსებით.**

## ბოროტად [illegible] აზრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

● [illegible] ცეცხლი ეკიდოს, კი არ ჩააქრო, არამედ ხელი მოითბე!

● თუ ადამიანში უკუღმართი თვისება ვერ შენიშნო, უკუღმიდან შეხედე მას!

● თუ ადამიანს ხელს ვერ უშლი, ეცადე ნერვები მაინც აუშალო!

● კეთილ ადამიანთან დამეგობრებას ნუ შეეცდები, რადგან ის შენში კარგს ვერ დაინახავს შენ მასში — ცუდს!

● ეცადე, სინდისი არ გაიიაფო! — რაც უფრო ძვირად გაყიდი, უმჯობესია!

● თუ წაქცეულს ფეხით შედგები, საკუთარ თავსაც ასიამოვნებ და წამქცევსაც!

● თუ ვინმე ვერ დაჩრდილე, ეცადე, ჩრდილი მაინც მიაყენო!

● ლანძღვა-გინებით დიდებულ სამსახურს ვუწევთ ადამიანებს — ვუღვივებთ თავმოყვარეობას!

● თუ ადამიანს მოსვენება არ დაუკარგე, სიმშვიდის ფასს ვერ გაიგებს!

● ეცადე, სიტყვით განწმირო ადამიანი — მიზანსაც მიაღწევ და პასუხისმგებლობასაც აიცილებ!

● თუ შენ ვერ ახერხებ წინსვლას, სხვას მაინც შეუშალე ხელი!

● ხელი მას გაუწოდე, ვისი იმედიც გაქვს!

● მას დაუმეგობრდი, ვისი მტრობაც გსურს!

● თუ ცხოვრებაში სახელი ვერ მოიხვეჭე, უსახელო საჩივრები წერე!

● თუ ადამიანი არ მოკალი, სიცოცხლის ფასს ვერ გაიგებს!

● ადამიანს მაშინ გაუფრთხილდი, როცა გჭირდება!

● თუ ადამიანში ვერავითარი ნაკლი ვერ შეამჩნიო, ცილი დასწამე!

● თუ საკუთარი ცოლი არ მოგწონს, სხვისი ცოლი აძაგე!

● ალიმენტს ნუ გადაუხდი, თორემ შენს ამბავს არც ცოლი იკითხავს და არც შვილი!

● თუ ვინმეს პირში ვერ უბედავ ლანძღვაგინებას, ტელეფონი გამოიყენე!

● თუ ადამიანს სიავე არ აგრძნობინე, სიკეთეს ვერ დააფასებს!

● როცა სხვის ღირსებაზე თვალს ხუჭავ, ამით საკუთარ ღირსებას უსვამ ხაზს!

ალმანზორ თაბაძე

ნახ. ზ. ლეჟავასი



— მამიკო, მეც წამიყვანე კრებაზე!
— არა, შვილო, იქ ტაშს დაუკრავენ და, შენი ამბავი რომ ვიცი, დავლურს ჩამოუვლი!

### მლიქვნელის ალსარებანი

● **უფროსის** აზრი არასდროს უარყო, თორემ უაზროდ ჩაგთვლის!

● **თუ** გსურს, ჭკვიან კაცად ჩაგთვალოს, მის სისულელეზე თვალი დახუჭე!

● **როცა** გესაუბრება, თავი ხშირად დაუქნიე; თორემ იფიქრებს, უთავო ყოფილაო!

● **შენი** გაქანება ბოლომდე არ უჩვენო, თორემ გასაქანს არ მოგცემს!

● **თუ** პირუტყვი გიწოდა, დაიბლავლე, თორემ ეგონება, ჩემს სიტყვებს ანგარიშს არ უწევსო!

● **თუ** არ გსურს უარყოფითი შეხედულება ჰქონდეს შენზე, ეცადე, მხოლოდ დადებითი შეამჩნიო მასში!

● **თუ** ხელი გკრა, ეცადე, წაიქცე, თორემ იფიქრებს, არ მემორჩილებაო!

● **გახსოვდეს:** უფროსის წინაშე უკანდახევა წინსვლას ნიშნავს!

ა. გურული

# ერთი სიტყვა მათქმევინე!.

— სახლმმართველი მინდა!
— მე გახლავართ!
— დაგექცა ოჯახი!..
— ოჯახიც დაგექცა და სახლკარიც, შე რეგვენო! რას მერჩი, თუ იცი?!
— მაცადე, შე კაცო!..
— რა უნდა გაცადო, გადაყოლილი ვართ თქვენზე, მეტი რა ვქნათ?! მასალა ჩვენ არა გვაქვს და ხელოსნები ჩვენ არ გვყავს! რომ გვწყევლით, გვლანძლავთ, გვემუქრებით და გვაგინებთ, რას გვერჩით, ნეტავ?! მოდით, დაჯექით ჩვენს ადგილზე, ბატონო, და ნახავთ!..
— ერთი სიტყვა მათქმევინე!..
— რა უნდა გათქმევინო, რა?! არ ვიცი, რასაც იტყვი?! ჰო, წვიმა ჩამოვიდა ხომ?! ჭერი ჩამოგენგრათ, არა?! გადით კოლმეურნეობის მოედანზე!..
— რას დამბომბე, შე კაცო?! მათქმევინე ერთი სიტყვა!..
— გათქმევინო თუ არა, შენც ლექსს წამიკითხავ! დაბომბილი ჩვენ ვართ, შენისთანები რომ ყოველ წუთს რეკავენ აქ, ზოგს წყლის მილი უსკდება, ზოგს — რადიატორი!.. მერე, მე რა გიყოთ, რომელ ერთს გიშველოთ, ან რით?! გადით კოლმეურნეობის მოედანზე და ხელოსნების მეტი რა არის, ყველაფერს თვითონ მოიტანენ!
— კაცო, აღარ მაცლი სათქმელს?!.
— შენ ზრდილობა ვინ მოგცა! ისიც არ იცი, კაცი რომ ლაპარაკობს, უნდა აცადო! მერე რა გამღერებს?! მე მლანძღავ და შენ მღერი?! თუმცა ამას ზრდილობა რად უნდა. მეც კერძო ხელოსნებს... რაო?! ფული თუ გინდა იშოვო, ცოტა უნდა გაინძრე, ასე ვართ ჩვენც — ყველას რომ გიკეთოთ, ოჯახი რით ვარჩინოთ?!
— კაცო, შენ გესმის?! დაგექცა სახლი!..
— კიდევ მწყევლი?! უჰ, შენი!.. თანამდებობის პირი არ ვიყო, მე შენ გიჩვენებდი!.. მოდი, აქ, თუ ვაჟკაცი ხარ და!..
— ე, ბიჭო, თუ ძმა ხარ, გაჩერდი, ერთი სიტყვა მაინც მათქმევინე!..
— თქვი, შე ოჯახდასაქცევო, მარა, ცუდი არაფერი წამოგცდეს, იცოდე!
— მეზობელი ვარ, კაცო, მეზობელი, შენი კომუნალური სახლის ჭერი ჩამოიქცა და წყალს მიაქვს ყველაფერი!.. მართლა დაგექცა ოჯახი!..
— აააა?!

ჟუნჟრუკო



ნახ. შ. ლელაქისა




— ჩვენს საწყობში ყველანი ერთი თვის ხელფასის დაკავებით დაგვსაჯეს!
— აუ, არ დაუღუპიხართ ხალხი!

## ლანჩხუთი, სოფელი ღრმაღელე

გწერთ ღრმაღელიდან ამ წერილს,
უნდა გვიშველო, ნიანგო! —
გვწყურია, უწყლოდ ვიხრჩობით,
მიტომ ხმადაბლა გიამბობთ:

ხახაგამშრალნი ველარ ვზრდით
მომღერლებსა და პოეტებს,
რადგან, წყლის ნაცვლად, ადგნენ და
პროექტი მოგვაპროექტეს!..

გაუნათებელ, ცუდ გზებზე
ხშირად ფათერაკს ვეხლებით!..
კარგი იქნება, რომ გვქონდეს
სათადარიგო ფეხები!..

არა გვაქვს კლუბი, რადიო,
ვერ ვხარობთ კინოს ყურებით!.
ერთხელაც ველარ ეღირსა
ტელეფონს ჩვენი ყურები!..

მდიდარი მეურნეობა
ნუთუ ამისი ღირსია?!
ჩამოდი, გვნახე, გვითხარი,
ჩვენი ქონება ვისია?!

პატივისცემით — ღრმაღელელები

# ნიანგს უპასუხებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ახლა ზამთარია, თოვს, ყინავს, სკოლაში კი გათბობა არა გვაქვს. ამას ემატება ისიც, რომ ფანჯრის მინები ჩამტვრეულია, გთხოვთ გვიშველოთ!..“ — გვწერდნენ სოფელ ჭანდარიდან.

სახალხო დეპუტატების გურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომმა ამ წერილის თაობაზე რედაქციას უპასუხა: „წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. ამჟამად ჭანდარის საშუალო სკოლაში ნორმალური გათბობაა და ფანჯრის ყველა მინა ჩასმულია.

—:—:—

სოფელ არაგვისპირეთიდან და კობიაანთკარის დასახლებიდან რედაქციაში კოლექტიური წერილები შემოვიდა იმის შესახებ, რომ არაგვისპირელებს არა აქვთ სასმელი წყალი, ელექტროენერგიას შეფერხებებით აწვდიან, სატელეფონო ხაზები სისტემატურად დაზიანებულია, ხოლო კობიაანთკარში მაღაზია დაქირავებულ და შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული, სოფელი განიცდის გაზის ნაკლებობას, ახალგაზრდებს არა აქვთ სპორტული მოედანი, მეცხოველეობის ფერმა უვარგისია პირუტყვის გამოსაზამთრებლად.

„წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება, — გვწერენ სახალხო დეპუტატების დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომიდან, — ელექტროქსელების ცუდი მუშაობის გამო, განყოფილების უფროსი ჯ. კერვალიძე განთავისუფლებულია სამუშაოდან. დაწყებულია დუშეთიდან ახალი სატელეფონო კაბელის გაყვანა, რაც გააუმჯობესებს სატელეფონო ხაზის მუშაობას.

რაც შეეხება ზამთრის პერიოდში კობიაანთკარში გაზის უკმარისობას, რესპუბლიკის შესაბამის ორგანოებში უკვე დასმულია საკითხი გაზის ლიმიტის მომატებაზე. ასევე დასმულია საკითხი საქართველოს ცეკავშირის გამგეობის წინაშე 10 ცალი პავილიონის გამოყოფაზე, აქედან ერთ-ერთი სავაჭრო პავილიონი დაიდგმება კობიაანთკარში. ჯერჯერობით კი მაღაზია დაქირავებულ და შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული. მიმდინარე წლის ბოლოსათვის დაგეგმილია აგრეთვე სოფელში სპორტული მოედნის მოწყობა და მეცხოველეობის ფერმის თანამედროვე ტიპის გომურში გადატანა“.

—:—:—

„თბილისში, დოლიძის ქუჩაზე მდებარე „ხილბოსტანვაჭრობის“ № 82 მაღაზიის გამყიდველები მომხმარებლებს არაკეთილსინდისიერად ექცევიანო“, — წერდნენ რედაქციას. ასეთივე შინაარსის წერილი მივიღეთ ხაშურიდანაც, სადაც მხილებული იყო ბორჯომის ქუჩაზე მდებარე „ხილბოსტანვაჭრობის“ მაღაზიის ცუდი მუშაობა. რედაქციამ ორივე წერილი რეაგირებისათვის გადაუგზავნა საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, საიდანაც გვაცნობეს: „შემოწმების შედეგად წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა: „ხილბოსტანვაჭრობის“ საბურთალოს რაიგანყოფილების დირექციის ბრძანებით თბილისში, დოლიძის ქუჩაზე მდებარე „ხილბოსტანვაჭრობის“ № 82 მაღაზიის გამყიდველები ი. დავთიანი და ა. კაპანაძე განთავისუფლებულები არიან სამუშაოდან. ამჟამად მაღაზიაში შეუფერხებლივ იყიდება ხილბოსტნეულისა და საკონსერვო მრეწველობის ფართო ასორტიმენტის საქონელი. სათანადო ღონისძიებები ტარდება მომხმარებელთა კულტურული მომსახურების დონის ასამაღლებლად.

ქ. ხაშურის „ხილბოსტანვაჭრობის“ დირექციამ გასული წლის 10 დეკემბერს განიხილა შემოწმების მასალები, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, ხოლო დარღვევებში მხილებულ პირებს დაედოთ ადმინისტრაციული სასჯელები — პავილიონ №1-ის გამყიდველ ქ. კვამლაძეს გამოეცხადა საყვედური, ხოლო მაღაზია № 2-ის გამყიდველ რ. კვამლაძეს — სასტიკი საყვედური“.

—:—:—

მოქ. ზ. გიგუაშვილი რედაქციაში გამოგზავნილ წერილში გვწერდა: „ნაჭარმაგევის ტბის მიმდებარე ტერიტორია მოუვლელია, ადგილი აქვს ანტისანიტარიას“. ამის თაობაზე სახალხო დეპუტატების გორის რაისაბჭოს აღმასკომმა გვიპასუხა: „წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. „მტკვარწყალმშენის“ № 3 სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელებს დაევალათ ტბის ნაპირების გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარება. № 3 სამშენებლო ტრესტის ასფალტის ქარხანას — ტბის მისასვლელში ასფალტის დაგება. სოფლტექნიკის რაიონულ განყოფილებას — ჩოგბურთის მოედნის მოწყობა, ტბაში არსებულ კუნძულზე სკვერის მოწყობა და სხვ.

დღეისათვის შესრულებულია სამუშაოების ნაწილი. ტბის კეთილმოსაწყობი სამუშაოების ნაწილი შესრულდება მიმდინარე წლის გაზაფხულ-ზაფხულში.

ნაჭარმაგევის ტბაზე რაიონის საზკვების მიერ გახსნილია სასოსისე. შემოწმების შედეგად აღმოჩენილი ანტისანიტარიის გამო სანეპიდსადგურის მიერ სასოსისე დროებით დაიკეტა, რომელიც გაიხსნება მისი კეთილმოწყობის შემდეგ.



# ღია წერილი

## ქართველ ფეხბურთელებს

ისე დავამთავრე სასწავლებლები,
ფიზკულტურაში რიგიანი ნიშანი არ მქონია!..
მაგრამ არ მესმის თქვენი თავგანწირვა?!
არ ვაფასებ თქვენს ნიჭს?! რა გგონიათ?
თქვენ რომ ერთი ვეფხვი გამოგაკლდათ,
იცით, გული როგორ მეტკინა?!
გულის ტკენა რა არი, მართალი გითხრათ,
გუნდი უიმისოდ ვერ წარმომედგინა!..
... ახლა რაზე გაწუხებთ, ბიჭებო! —
საქმე ისაა, ჩემო კარგებო, რომ
თქვენი თამაშით ისაზღვრება
ჩემი ოჯახის ვითარება!
როცა თქვენ ბურთს მართლაც ოსტატურად
სტყორცნით
და ის ბურთი მოწინააღმდეგის ბადესა
ჰკოცნის,
ჩვენს ოჯახშიც დიდი სიხარულია
და ერთმანეთს ვულოცავთ კოცნით!..
როცა თქვენ მარცხდებით, შვილებო, მაშინ
ისეთ დღეს გვაყრის ეს კაცი,
ლამის სახლიდან დაგვითხოვოს,
ლამის სუყველა გაგვყაროს კარში!..
თქვენზე გაჯავრებული ჩვენ აღარ
მოგვასვენებს
(ჩემს მეუღლეზე მოგახსენებთ!)
როცა თქვენ გაჭირვებაში გხედავთ,
ვთქვათ, ამ დროს უნებურად რამეზე
გავიცინოთ,
არ გინდა, მერე იმის რისხვას გადაურჩე,
მისი მწარე სიტყვის ისარი აიცდინო?!
ვერ დაამშვიდებ, თუნდა წინ დაუდგა ტომრით
ოქროები!

რაღას არ გვიწოდებს:
დეგენერატები და ცოტა ჭკუისანი ვართ
მე და ჩემი გოგოები!..
ხანდახან მეც გავბრაზდები და ხმას ავუწევ
(რასაცა თესავს, იმასა მკის!)
მამალი მგლისა არ ეშინია და
წნევას რომ ვუხსნებ, ფარ-ხმალსა ყრის.
თქვენ გენაცვალოთ ჩემი თავი,
ეგებ ანგარიში გაუწიოთ,
თორემ ერთხელაც რომ წნევამ აუწიოს!..

ლალი მარტაშვილი

ნახ. ი. ყეინაშვილისა



უსიტყვოდ

## გამოცანები

● **ყველა** ეფერება — ბავშვი არაა (პატივმოყვარე უფროსი).
● **ყველაფერს** თავისკენ მიითლის — ეჩო არაა (მომხვეჭელი).
● **ალყაში** იქცევენ — ციხესიმაგრე არაა (სუფრა).
● **ხურდის** მაგივრად გვიბრუნებენ — ხურდა არაა (მადლობა).
● **ყველა** უფრთხილდება — ნივთი არაა (თანამდებობა).

## გარითმული ქარაგმები

● **თავს** არ იკლავს ძიებით, ჰყავს მფარველი ძიები.
● **დაიჯგიმება** ამაყად — გავლენიანი მამა ჰყავს.
● **მუდამ** თავისი გაჰქონდა, რადგან სინდისი არ ჰქონდა.
● **თუ** ვინმეს ჩასცეს ლახვარი, ყველაფერს იკლებს ხარხარით.
● **თავს** იქებდა ათასებთან, მაგრამ არვინ აფასებდა.
● **სულში** იგროვებს ბაცილებს და არაფერი აცინებს.
● **ხელს** მხოლოდ იმას ართმევს, ვისაც რაიმეს ართმევს.
● **ყველა** ოინსა ხვდებოდა, მაგრამ ვერაფერს ხდებოდა.
**ყველა** სასტიკად კიცხავდა, რადგან არავინ იცავდა.
● **როცა** დაიწყო ფართხალი, მერე დაუწყეს თვალთვალი.

თ. ზენოზნელი

85-102
7-85

ტრანსნაციონალური ფარმაცევტული კორპორაციები, მეტი მოგების მიზნით, განვითარებად ქვეყნებში ჯანმრთელობისათვის ძალზე საშიშ უვარგის წამლებს ასაღებენ.

ნახ. ვ. ლომიძისა




ფარმაკოგველური აქცია

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" № 4, (1686) თებერვალი, გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ბაბუა ამირეჯიბი, ნოდარი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 24. 1. 85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 2. 85 წ. ქაღალდის ზომა 60 × 90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვეთა № 216. უე 10003. ტირაჟი 142.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან - მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137